ამიტომ, კვოტირების სისტემის გაუქმება მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სანაშენე ცხოველებისა და პროდუქტების, სათესლე მასალის, შხამ-ქიმიკატების მიწოდება და იმპორტი ჩვეულებრივი რეჟიმით უნდა დაიხედოს.

საგადასახადო კოდექსის 102 მუხლით შემოღებული ექსპორტისთვისაა გათვალისწინებული დაბეგრის ნულოვანი განაკვეთი. აღნიშნული დაბეგრვა გულისხმობს ექსპორტზე გათვალისწინებული საქონლის სანარშუტო გადახდილი დღე-ს სრულად ანაზღაურებას, რაც, თავის მხრივ, ექსპორტისათვის წამახალისებელი ღონისძიებაა. ასეთი სახის ნორმა მიღებულია დღე-ს მქონე ყველა ქვეყანაში და ჩვენთან მისი შეცვლა ექსპორტის შეზღუდვას გამოიწვევდა.

• დღე-ით დასაბეგრი ოპერაციის დრო

საგადასახადო კოდექსის 105 მუხლი დასაბეგრი ოპერაციის დროდ განსაზღვრავს საქონლის მიწოდებიდან, სამუშაოების შესრულებიდან ან მომსახურების განწვეიდან 90 დღეს, თუ მანამდე არ მოხდა განაღდება. აღსანიშნავია ის მომენტი, რომ დღევანდელი კომუნიკაციების, საბანკო სისტემების და ტრანსპორტის განვითარების მდგომარეობა საშუალებას იძლევა დაქარდეს ეს პროცესი, აღნიშნული ოპერაციების სანარშუტო აღრებული ვადა ძალზე დიდი დროა. ამ ოპერაციების განხორციელების მაქსიმალურ ვადად შეიძლება 30 დღე, ხოლო 90 დღით

გაჭიანურებული ანაზღაურება მყიდველისათვის კრედიტის მიცემად ჩაითვალოს. ამასთან, თანხის დაგვიანებით გადახდა უფრო ამძიმებს ბიუჯეტში

პრობლემა არა იმდენად განაკვეთის სიდიდეა, არამედ არათანაბარი პირობები და კორუფცია.

შემოსავლების მობილიზაციის შესაძლებლობას, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ოპერაციის განხორციელების დროდ 30 დღე განისაზღვროს.

• გადასახადის განაკვეთი

დღე-ს განაკვეთის მოცულობა საგადასახადო კოდექსის 112 მუხლის 1 პუნქტით შემოღის და 20%-ის ოდენობით განისაზღვრება. მენარშეები ძირითადად დღე-ს განაკვეთის მაღალ დონეს აღნიშნავენ. 20% პატარა ციფრი არ არის, ამ თანხას მენარშე არ იხდის და მენარშესათვის ამ მხრივ მთავარია მათ პროდუქციაზე ფასის 20%-ით გაზრდა, რაც, შესაბამისად, ამცირებს მოხმარებას და რეალიზაციას. როგორც შემდგომ დანართი №4-ში ვნახავთ, მეზობელი ქვეყნების უმრავლესობაში ძირითადი განაკვეთი 20% ან უფრო მეტია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი პრობლემა ადმინისტრირების სისუსტე და კორუფციაა. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, გადასახადს იხდის მყიდველი, ხოლო მისი გადახდულობის პირობებში საქონლის ფასი 20%-ით მცირდება. იმ დროს როდესაც ერთი ფირმა იხდის გადასახადს, ხოლო მეორე — არა, კანონდამრღვევის საქონელი 20%-ით იაფი ხდება პატიოსანი გადახდელისაზე. ეს კი მენარშეებს არათანაბარი პირობებს უქმნის და პატიოსანი მენარშის გაკოტრებამდე მიყვანათ. აქედან გამომდინარე, პრობლემა არა განაკვეთის სიდიდეა, არამედ არათანაბარი პირობები და კორუფციაა.

მომავალში, როდესაც ადმინისტრირების მეთოდები დაიხვეწება და ბიუჯეტში შემოსავლები გაიზრდება, პირველადი მოხმარების საგნებზე 10%-იანი განაკვეთის შემოღებაზე ფიქრი შესაძებელი გახდება.


აქვინა, დაგაბავალი ლიკავალების გადარსებაში მიგაერთაში მიგაჩინა, რაჲ:

- საპარტეზოლს რაპოლონისთვის არაპირდაპირი გაგაქვავის ან რათოვის (ანგაროშაგაგრაგით რათოვის) მათოვით დღ-ს გაგაქვავიშაგა ვაჲლაჲ სასაჲთოშო პარინინი;
- ითისდა მითსადაჲვად, გაღაგდალი რა სანის აროღაჲსიას ანაროგავს, აუსოღაგალია დღ-ს გაღაგდალად რაჲისტრასიის მინიგაღარი ჲჲჲარი 20000 ლარის დოგაჲ დაჲსდაჲს.
- დღჲ შამოსაჲვავის გაღაგაწოღავის ინსტრავაგნად არ უნდა განისიღავოღავს. ეს უნდასიას საჲგოღაჲვოღო და მთინაჲს გაღაგაწაგაგა უნდა ჲანსრუღოღ. ამ მიგაერთაში მინიშნაღოღანი გიჲჲავის საჲგოღო გავღაგა და არა ჲოღოღ საგაღაგაწაღოღ სისთამისი ჲოღაგაგაგა. სოციაღარი ჲაღაგაის მიღაგა სასაღაგაწოღოს ხარგაგის სისტავითი უჲოღო გარტინი და ეჲჲაგრაგია, ვიღრა გაღაგაწაგაგაგით. აჲჲაღაგა გაგოგაღინარა, დღ-ს-ღან გათავისუღღაგაგის რაროღინარა მინიშნაგაგაგა უნდა დავიღაგა;
- 20%-იანი განაჲჲავითის შამოსიგაგა გაჲჲაროღაღაღად მიგაჩინა. იგი არავითარი ეჲჲავის მოჲჲაჲი არ ინარაჲ. გოგაგაღოღი, რაროღასს ადმინისტრირარის მათოღაგაი დანჲჲჲჲაგა და გიჲჲავი შამოსაჲვავი გარჲარღაგა. აირავაღი მოჲჲარარის საგნაჲჲა 10%-იანი განაჲჲავითის შამოღაგაგაგა უიღარი ჲანაჲჲავიღი გასღაგა.

4. სანაჲტოზო გარღაგაგაღი

აქციზი არაპირდაპირი გადასახადის ერთ-

მესამე, ისინი ფუფუნების საგნებია; მეოთხე, მთავრობის დამოკიდებულების თანახმად ამგვარი საქონელი არსებითი მნიშვნელობის მქონედ არ ითვლება და მათი მოხმარება უარყოფით ექსტერნალიტებს იწვევს (მაგალითად, თამბაქოს მოხმარება დაკავშირებულია მსუფთაობის სხვადასხვა დაავადებებს იწვევს).



ერთი სახეობაა, რომელიც აქციზური საქონლის წინოდებისას მის ფასთან ერთად გადაიხდება. აღნიშნული გადასახადით იბეგრება საქონლის ცალკეული სახეების ჯგუფები, რომელთაც შემდეგი თავისებურებები ახასიათებთ: პირველი, მათი წარმოება და

რეალიზაცია მთა-ვრობის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ექვეყნა; მეორე, მოთხოვნა ფასში ასეთ საქონელზე არაელასტიურია, ანუ ფასის საგრძობლად მომატების შემთხვევაში ამ საქონლის მოხმარება მხოლოდ ოდნავ მცირდება;

ტრუმენტია, ვინაიდან საქონლის სახეობათა ვიწრო ჯგუფზე ფოკუსირების გამო იგი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოხმარებელთა გადაწყვეტილებათა მიღებაზე და

რესურსების განაწილებაზე. აქციზი არ მოითხოვს სერიოზულ ადმინისტრაციულ დაძაბულობას და


სხვა გადასახადებთან შედარებით გადახდისაგან თავის არიდების მცირე შესაძლებლობებს იძლევა. აქციზური საქონელი ხასიათდება წარმოებისა და

საქონელი შემდეგი განაკვეთებით იბეგრება (იხ. ცხრილი №4.1).

საგადასახადო კოდექსის თანახმად აქციზისაგან განთავისუფლებულნი არიან:

სტრუქტურულად, აქციზურ საქონელს შორის, ყველაზე მეტი შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის თანაბრად ნაწარმს მოაქვს.

ნახაზი №4.2



რეალიზაციის მსხვილი მასშტაბებით, მწარმოებელთა შედარებით მცირე ჯგუფით და მისი საქონელსუბსტიტუტების სიმცირით, რაც საბოლოო ჯამში შემოსავლების გაზრდას უწყობს ხელს.

საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმუმისა გარდა, აქციზი სხვა მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევასაც ემსახურება, კერძოდ:

- ჯანდაცვის თვალსაზრისით — გარკვეული პროდუქციის მოხმარების შემცირება (ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი);
- ენერგოპროდუქტების მოხმარებისას — გარემოს დაბინძურების შემცირება და კონსერვაციის ხელშეწყობა;
- ავტომობილების მფლობელებისაგან მოსაკრებლების აკრეფა გზების მოვლა-შეკეთებისთვის (წავთობპროდუქტებზე აქციზის საშუალებით);
- ფუფუნების საგნების მოხმარების შემცირება.

აქციზის განაკვეთები სპეციფიური ან ე.წ. ადვალური (ადვალორემ - ღირებულების შესაბამისად) პირობებით შეიძლება დანესდეს. აქციზის სპეციფიური განაკვეთი გულისხმობს, რომ დაბეგვრის ბაზა არა საქონლის ღირებულება, არამედ ფიზიკური ერთეული. საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, დაბეგვრის შერეული სისტემა მოქმედებს, ხოლო აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაში — ადვალური სისტემა (დანართი №5). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, აქციზური

კოდექსის თანახმად აქციზისაგან განთავისუფლებულნი არიან: ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული და მოხმარებული ალკოჰოლური სასმელები; ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელი და 200 ლერი სიგარეტის იმპორტი;

საქართველოშიაფრო მობილით შემოსვლით პირის ავტომობილის ავზში არსებული სანჯავი.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, აქციზის შემოღების ერთ-ერთი მიზანი ისეთი პროდუქტების მოხმარების შემცირებაა (უარყოფითი ექსტერნალიტების გამოსწორება), რომელიც

ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. გამოკვლევების თანახმად თამბაქოს ნაწარმზე მალადი გადასახადები ხელს უწყობს მოზარდებში თამბაქოს მოხმარების შემცირებას. უფროსი ასაკის ადამიანებისათვის, რომლებშიც ამ მაგენ ჩვევსადმი ძლიერია მიდრეკილება, ფასი დიდ განმსაზღვრელ ფაქტორს არ თამაშობს. თუ თამბაქოზე მალადი აქციზური განაკვეთები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდა, ეს მწველ თინეიჯერთა თამბაქოს შემცირებას და საბოლოო ჯამში არამაქოს მოხმარების შეზღუდვასაც შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ აქციზური საქონლის დაბეგვრიდან შემოსავლები წლიდან წლამდე იზრდება. ამ მხრივ, გამოწვევისა 1998 წელი, როდესაც შემოსავალი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირე იყო, ხოლო გეგმა მხოლოდ 37%-ით შესრულდა. 1999 წელს დაგეგმილია 137,8 მლნ ლარის მიღება, ხოლო ნათობპროდუქტების დაბეგვრიდან შემოსავლები შემოსავლები 15 მლნ ლარი საგზაო ფონდს გადარიცხვება. მთლიანობაში 1999 წელს დაგეგმილი შემოსავალი 279%-ით სჭარბობს 1998 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს. აღნიშნული ზრდის მიღწევა ძირითადად ნავარუდევია საქართველოს ხელი-სუფლები მიერ 1999 წელს განსახორციელებული ადმინისტრაციული ღონისძიებებით, კერძოდ, ქვეყნში აქციზური მარკების შემოღებით და საბაჟო კონტროლის გააუმჯობესებით. აქციზური შემოსავლების დინამიკა უფრო დეტალურად №4.1 ნახაზზეა ნაჩვენები: 1998 და 1999 წლების

მაჩვენებლები მოიცავდა ნავთობპროდუქტების აქციზით დაბეგვრიდან საგზაო ფონდში გადარიცხვლ თანხებს, შესაბამისად 12.6 და 15 მლნ

1997 წელს საბრთველოში 107.764 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების თანხააქოს ნაწარმი იქნა იმპორტირებული, ხოლო ექსპორტირებული 1998 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 5-ჯერ დაეცა და 22.176 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა


ლარის ოდენობით. უკანასკნელი წლების მანძილზე განსაკუთრებულად ერთობლივ საგადასახადო შემოსავლებში იზრდებოდა აქციზური საქონლის დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლების წილი. მაგალითად, 1995 წელს აქციზიდან მიღებული შემოსავლების წილი ერთობლივ საგადასახადო შემოსავლებში მხოლოდ 2% იყო, ხოლო წინასწარი გაანგარიშებით, 1999 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 27,2% უნდა შეადგინოს (იხ. ნახაზი №4.2).

თუკი აქციზური საქონლის დაბეგვრიდან მიღებულ შემოსავლებს თვეების მიხედვით დინამიკაში დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მარტივიდან აგვისტოს ჩათვლით პერიოდი

რომ წინა წელთან შედარებით, 1998 წელს თამბაქოს დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლები საგრძნობლად დაეცა (თითქმის განახევრდა) (იხ. ნახაზი №4.4).

რაც შეეხება იმპორტირებულ თამბაქოს, აქ სურათი სხვაგვარად წარმოგვიდგება. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში იმპორტირებული თამბაქოს აქციზით დაბეგვრამ მრავალი ცვლილება განიცადა. თავდაპირველად, 1993 წლის 24 დეკემბრის აქციზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თანახმად, თამბაქოს დაბეგვრა 40%-იანი განაკვეთით ხდებოდა, რაც საერთო იყო როგორც იმპორტირებული ასევე ადგილობრივი წარმოების სიგარეტებისთვისაც. 1996 წლის ოქტომბრიდან თამბაქოს იმპორტის აქციზით დაბეგვრა ექსპერიმენტული წესით ხორციელდებოდა — წინათ მოქმედი ადგილობრივი სისტემის ნაცვლად, სპეციფიური მეთოდი გამოიყენებოდა, რაც იმპორტირებული თამბაქოს თითოეულ კოლოფზე სააქციზო განაკვეთს 6 თეთრის ოდენობით ითვალისწინებდა. 1997 წლის ივლისში

ნახაზი №4.3



შემოსავლების მაღალი დონით ხასიათდება. დანარჩენ თვეებში შემოსავლები შედარებით დაბალ დონეზე იმყოფება (იხ. ნახაზი №4.3).

სტრუქტურულად, აქციზურ საქონლს შორის, ყველაზე მეტი შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის თამბაქოს ნაწარმს მოაქვს. 1997 წლის მონაცემებით, თამბაქოს აქციზით დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლის წილი საერთო სააქციზო შემოსავლებში 54%-ს შეადგენდა, ხოლო 1998 წელს ეს მაჩვენებელი 48%—მდე შემცირდა. ეს განპირობა იმ ფაქტმა,

საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ (რომელიც ძალაში 1997 წლის 1 სექტემბერს შევიდა) იმპორტირებული თამბაქოს აქციზით დაბეგვრა ისევ ადვალური მეთოდის გამოყენებით, 100%-იანი განაკვეთით გადაწყდა. მაგრამ 1997 წლის 18 სექტემბერს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, თამბაქოს ნაწარმის (თამბაქოს ნედლეულის გამოკლებით) იმპორტი დამატებული ღირებულებისა და აქციზის ნაცვლად შემდეგი ოდენობის ფიქსირებული გადასახადით იბეგვრებოდა:

- მოსაწევი თამბაქო — 20 ლარი 1 კგ-ზე;
- სიგარა — 25 თეთრი;
- უმაღლესი, I და II კლასის სიგარეტი და სიგარილა — 25 თეთრი 1 კოლოფზე;
- ყველა დანარჩენი კლასის სიგარეტი და პაპიროსი — 19 თეთრი 1 კოლოფზე.

დაბეგვრის ნაცვლად შემდეგი ოდენობის ფიქსირებული გადასახადით იბეგვრებოდა:

- მოსაწევი თამბაქო — 20 ლარი 1 კგ-ზე;
- სიგარა — 25 თეთრი;
- უმაღლესი, I და II კლასის სიგარეტი და სიგარილა — 25 თეთრი 1 კოლოფზე;
- ყველა დანარჩენი კლასის სიგარეტი და პაპიროსი — 19 თეთრი 1 კოლოფზე.

1998 წლის სექტემბერში საგადასახადო


განპირობა. 1999 წლის თებერვლიდან 10 მაისის ჩათვლით მთლიანად თამბაქოს აქციზით დაბეგვრიდან ბიუჯეტში 19,230 მლნ ლარი ჩაირიცხა.

საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით 1998 წელს საბრთველოში 159.400 მილიონი აშშ დოლარის ნავთობპროდუქტები იქნა იმპორტირებული, როგორც სათანადოდ დაზავების შემთხვევაში ბიუჯეტის 95.8 მილიონი აშშ დოლარი უნდა მიეღო. ფაქტობრივად შემოსავალი კი მხოლოდ 28.7 მილიონი ლარი იქნა.

კოდექსში შეტანილი ცვლილებით კიდევ ერთხელ შეიცვალა თამბაქოს აქციზით დაბეგვრის რეჟიმი. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ნახსენებ რეჟიმებს შორის საუკეთესო აღმოჩნდა 1998 წლის ოქტომბრიდან 1997 წლის სექტემბრამდე მოქმედი 6 თეთრიანი რეჟიმი, როდესაც ყოველთვიურად ბიუჯეტში საშუალოდ 2.9 მლნ ლარი ირიცხებოდა, ხოლო საუკეთესო შედეგი — თვეში (1997 წ, აგვისტო) 3.750 მლნ ლარი იყო. ამასთან, შემოსავლებს მკაცრად გამოხატული ზრდის ტენდენცია ჰქონდა. მას შემდეგ, რაც 1997 წლის 18 სექტემბრიდან 1 კოლოფ სიგარეტზე 25 თეთრიანი ტარიფი დაწესდა, შემოსავლებმა საგრძნობლად იკლო და ყოველთვიურმა საშუალო შემოსავალმა მხოლოდ 0.8 მლნ ლარი შეადგინა.

ცხადია, ქვეყანაში მოთხოვნა ამ პროდუქტზე იმდენად არ შემცირდებოდა, რომ მას ამგვარი სერიოზული ჩავარდნა გამოეწვია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უმთავრესი ფაქტორი, რამაც შემოსავლების ვარდნა განაპირობა, კონსტრუქციული სიგარეტის იმპორტის უზარმაზარი ზრდა იყო. საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1997 წელს საქართველოში 107.764 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თამბაქოს ნაწარმი იქნა იმპორტირებული, ხოლო მომდევნო

ნახაზი №4.4



1998 წლის 28 მაისს გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის აქციზური მარცხის შემოღების შესახებ“.

1998 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 5-ჯერ შემცირდა და 22.176 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საბრთველოში ბანაკებითა, ადვალურ ბანაკებითა, თან შედარებით უპირატესობით სარგებლობენ, თუ საგადასახადო ორგანოების ადმინისტრაციული უნარი დაძველებულია და არსაგზს პრეზიდა, როგორც საზინაო წარმოების ან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულების ხელოვნურ შემცირებასთანადა დაკავშირებული.

სამწუხაროდ, ბრძანებულებაში მითითებული ვადები დაირღვა და 1998 წლის 1 დეკემბრის ნაცვლად მარკირების დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია აქციზური მარკების გარეშე მხოლოდ 1999 წლის 1 აპრილს აიკრძალა. აღნიშნულმა ადმინისტრაციულმა უწყებამ თამბაქოს აქციზით დაბეგვრის ახალი რეჟიმის (1 კოლოფზე 19 თეთრი) წარმატებულობა

მოგება გაზრდილა იმდენად, რომ თამბაქოს ნაწარმის იმპორტის მოცულობაზე რაიმე ზეგავლენა მოეხდინა. ფაქტია, საბაჟოზე დაფიქსირებული იმპორტირებული თამბაქოს მოცულობა ქვეყნის რეალურ საბაჟო მოთხოვნას არ ასახავს. თამბაქოს სანაწარმდევო ეროვნული ცენტრის მონაცემებით საქართველოში 2 მლნ მწვევლია, მათგან 26% არასისტემატიური მომხმ-

რებელია (დღეში 10 ლერამდე), 43% სისტემატიური მწველი (დღეში 11-20 ლერი), ხოლო 31% ინტენსიური მომხმარებელი (დღეში 20 ლერზე მეტი). აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში ყოველდღიურად მოიხმარება 30 500 000 ღერი სიგარეტი (ანუ 1525 000 კოლოფი). საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მიერ სიგარეტის საკონტრაქტო ღირებულების მინიმალურ ზღვრად 1000 ლერზე — 16 დოლარია დაწესებული. აქედან გამომდინარე, ყოველწლიურად საქართველოში მოხმარებული სიგარეტის ღირებულება დაახლოებით 178.120 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, მაშინ როდესაც 1998 წლის მონაცემებით საქართველოში ოფიციალურად 22.476 მლნ აშშ დოლარის თამბაქოს ნაწარმი შემოვიდა.

თუკი 1997 წელს საქართველოში კონტრაბანდული წესით დაახლოებით 70 მლნ დოლარის სიგარეტი შემოვიდა, 1998 წელს ეს მაჩვენებელი გაორმაგდა. კონტრაბანდის ზრდა, შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზე აისახა. იმპორტირებული თამბაქოს ნაწარმის მთლიანი მოცულობის შესაბამისად დაბეგვრის შემთხვევაში ბიუჯეტი 1998 წელს დაახლოებით 124 მლნ დოლარს მიიღებდა. მაშინ, როდესაც ფაქტიურმა შემოსავალმა მხოლოდ 15 მლნ ლარი შეადგინა.

აქციური და მრეწველ ერთობლივ შემოსავლებში მეორე ადგილი ნავთობპროდუქტებს უჭირავს. აღნიშნული საქონლის აქციზით დაბეგვრა სხვადასხვაგვარად ხდებოდა. ნავთობპროდუქტების აქციზური საქონლის სიაში მხოლოდ ბენზინი ხვდებოდა. ეთილრეზინი და არაეთილრეზინი ბენზინი განსხვავებულად იბეგრებოდა, კერძოდ, არაეთილრეზინი 15%-იანი, ხოლო ეთილრეზინი 50%-იანი სააქციზო განაკვეთით. 1998 წლის მასში საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად აქციზის განაკვეთებმა მოიმატა და არაეთილრეზინულ ბენზინზე 60%, ხოლო ეთილრეზინულზე 100% შეადგინა. 1999 წლისათვის კი გადაწყდა, რომ ყველა სახის ნავთობპროდუქტებზე, გარდა მახუთისა, მხოლოდ 60%-იანი განაკვეთი გავრცელდებოდა.

დღევანდელი მდგომარეობით ნავთობპროდუქტების აქციზით დაბეგვრიდან მიღებულ შემოსავლებში 95% ბენზინზე მოდის.

იმ პერიოდში, როდესაც აქციზის განაკვეთები ბენზინზე 15% და 60% იყო, ბენზინის იმპორტის დაბეგვრიდან ყოველთვიური შემოსავალი ბიუჯეტში 1.5 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო მას შემდეგ რაც განაკვეთები 60%-დან და 100%-მდე გაზარდა, 1998 წლის ბოლო ექვსი თვის მანძილზე ყოველთვიური შემოსავალი 3.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

1998 წელს ნავთობპროდუქტების აქციზით დაბეგვრით სახელმწიფო ბიუჯეტმა 28.7 მლნ ლარი მიიღო, აქედან 27.296 მლნ ლარი

ბენზინიდან იქნა მიღებული. სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით 1998 წელს საქართველოში 159.400 მლნ აშშ დოლარის ნავთობპროდუქტები იქნა იმპორტირებული, რომლის სათანადოდ დაბეგვრის შემთხვევაში ბიუჯეტს 95.6 მლნ აშშ დოლარი უნდა მიეღო. ფაქტიური შემოსავალი კი მხოლოდ 28.7 მლნ ლარი იყო. 1998 წელს ნავთობის აირებში იმპორტზე 60%-იანი აქციზის განაკვეთის გამოყენებით დაახლოებით 6.5 მლნ დოლარის მიღება იქნებოდა შესაძლებელი.

რაც შეეხება დანარჩენ სააქციზო საქონელს, აქ დარღვევები ნაკლებ შესაძენეა, რადგან ისინი საქართველოში შედარებით ნაკლები ოდენობით მოიხმარება და ამასთან მონაცემები მათ შესახებ ძველი ხელმოწინაა.

როგორც ცნობილია, საგადასახადო კოდექსში 1998 წლის გაზაფხულზე შეტანილი ცვლილების თანახმად, აქციზური საქონლის დაბეგვრის ად ვალური სისტემა, შერეული სისტემით შეიცვალა (რომელიც ეფუძნება ად ვალურ და სპეციფიურ განაკვეთებს). უნდა აღინიშნოს, რომ დაბეგვრის ორივე მეთოდი სერიოზულ ნაკლოვანებებს განიცდის, თუმცა საქართველოს შემთხვევაში უპირატესობა შერეულ სისტემას უნდა მიენიჭოს.

სპეციფიური განაკვეთები, ად ვალურ განაკვეთებთან შედარებით უპირატესობით სარგებლობენ, თუ საგადასახადო ორგანოების ადმინისტრაციული უნარი დაქვეითებულია და არსებობს პრობლემა, რომელიც საშინაო წარმოების ან იმპორტირებულ პროდუქციის ღირებულების ხელოვნურ შემცირებასთანაა დაკავშირებული. რადგან გადასახადი არა ღირებულებას, არამედ საქონლის ფიზიკურ ერთეულებს ეფუძნება, ამიტომ სპეციფიური განაკვეთების მოქმედებისა ღირებულების დაანგარიშებასთან დაკავშირებული პრობლემები არ წარმოიშება. ცხადია, რომ საქართველოში ზემოთ დასახელებული ორი სერიოზული პრობლემა რეალურად არსებობს, ამიტომაც აქციზური საქონლის დაბეგვრისას მათი გათვალისწინება აუცილებელია.

სუსტი მხარე სპეციფიურ სააქციზო განაკვეთებსაც გააჩნიათ, კერძოდ, ადგილი აქვს გადასახადის ბაზის ინფლაციას, რაც განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ინფლაციის ტემპები საკმაოდ მაღალია, დამახასიათებელია. ჩვენს შემთხვევაში მოსალოადნელია, რომ ყოველწლიურად საგადასახადო ბაზა 8-10%-იან ინფლაციას განიცდის, რაც რეალური შემოსავლების შემცირებას შეუწყობს ხელს. ამიტომაც, აღნიშნული პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში სპეციფიურ განაკვეთში ინფლაციის ტემპების გათვალისწინება აუცილებელი პირობაა, რაც რეგულარულად, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ უნდა განხორციელდეს. მას შემდეგ რაც სახელმწიფომ

სპეციფიური სააქციზო განაკვეთები შემოიღო, ქვეყანაში სერიოზულ ინფლაციას ჰქონდა ადგილი, ამიტომაც უკვე დღეს საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილების შეტანის საჭიროება წარმოიშება. იმისათვის, რომ მომავალში საგადასახადო კოდექსში მუდმივი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა გამოირიცხოს, უმჯობესი იქნება თუკი ყველა სააქციზო საქონელზე სპეციფიური განაკვეთების დაწესება ევროში ან დოლარებში მოხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1997 წელს საქართველოში იმპორტირებული

აღსანიშნავია, რომ სომხეთსა და უკრაინას შიდა წარმოებულ და იმპორტირებულ სააქციზო საქონელზე განსხვავებული განაკვეთები გააჩნია, რაც არ შეიძლება მათი საგადასახადო სისტემის დადებით მხარედ ჩათვალოს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სააქციზო ტარიფების ამგვარი დიფერენციაცია მხოლოდ საქართველოში არსებული მოთხოვნების უწინააღმდეგეა. მეორე მხრივ, აქციზი არ წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლითაც ეროვნული წარმოების მხარდაჭერა უნდა მოხდეს, ამისათვის არსებობს საბაჟო ტარიფი.

აფხაზე, სააქციზო გადასახადთან მიმართებაში მიზანშეწონილი:

- **საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1997 წელს საქართველოში იმპორტირებულ იქნა თამბაქოს ნაწარმი სულ 107.764 მლნ აშშ დოლარის ღირებულებით. სრულ მოცულობაში 1998 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 5-ჯერ შემოიკრა და 22.176 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რას შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში ამოვიღეთ მრავალი შემოსავლის წარმოქმნის კვალი აისახა;**
- **თუკი 1997 წელს საქართველოში კონტრაბანდული წესით დაახლოებით 70 მლნ დოლარის სიგარეტი შემოვიდა 1998 წელს ეს მაჩვენებელი გაორმაგდა;**
- **იმ შემთხვევაში თუ იმპორტირებული თამბაქოს ნაწარმის მთლიანი მოცულობის შესაბამისად დაბეგვრა მოხდებოდა, ბიუჯეტს 1998 წელს დაახლოებით 124 მლნ დოლარი უნდა მიეღო. მაშინ როდესაც ფაქტიურმა შემოსავალმა მხოლოდ 15 მლნ ლარი შეადგინა;**
- **1998 წელს იმპორტირებული ნავთობპროდუქტების აქციზით დაახლოებით 6.5 მლნ დოლარის მიღება იქნებოდა შესაძლებელი. რადგან გადასახადი არა ღირებულებას, არამედ საქონლის ფიზიკურ ერთეულებს ეფუძნება, ამიტომ სპეციფიური განაკვეთების მოქმედებისა ღირებულების დაანგარიშებასთან დაკავშირებული პრობლემები არ წარმოიშება. ცხადია, რომ საქართველოში ზემოთ დასახელებული ორი სერიოზული პრობლემა რეალურად არსებობს, ამიტომაც აქციზური საქონლის დაბეგვრისას მათი გათვალისწინება აუცილებელია.**
- **სააქციზო საქონლის ღირებულება შემცირებულია. მაგალითად, შემოტანილი ეთილის სპირტის საბაჟო ღირებულებამ აშშ დოლარში შეადგინა, მაშინ როდესაც საბაჟო დეპარტამენტის მიერ დაწესებული მინიმალური საკონტრაქტო ფასი 1.5 დოლარს შეადგენს. მსგავსი ვითარება სხვა აქციზურ საქონელთან მიმართებაშიც. სპეციფიური განაკვეთების დაწესება აღნიშნული პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს.**
- **სააქციზო საქონლის განაკვეთებს მეზობელი ქვეყნების განაკვეთებს შეადარებთ (იხ. დანართი №5) დავინახავთ, რომ ამ ფონზე საქართველოში აქციზის გადასახადები არცთუ ისე მაღალია.**

აქციზური საქონლის ღირებულება შემცირებულია. მაგალითად, შემოტანილი ეთილის სპირტის საბაჟო ღირებულებამ აშშ დოლარში შეადგინა, მაშინ როდესაც საბაჟო დეპარტამენტის მიერ დაწესებული მინიმალური საკონტრაქტო ფასი 1.5 დოლარს შეადგენს. მსგავსი ვითარება სხვა აქციზურ საქონელთან მიმართებაშიც. სპეციფიური განაკვეთების დაწესება აღნიშნული პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს.

ასევე აღინიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების ერთიან რეჟიმში მოთავსება, ასევე ადმინისტრირების პროცესის გააუმჯობესება.

თუკი საქართველოში მოქმედი აქციზური საქონლის განაკვეთებს მეზობელი ქვეყნების განაკვეთებს შეადარებთ (იხ. დანართი №5) დავინახავთ, რომ ამ ფონზე საქართველოში აქციზის გადასახადები არცთუ ისე მაღალია.

5. ქონების გადასახადის შემსახმე

ქონების გადასახადის დაწესების ძირითადი მიზანია სახელმწიფოს მიერ ქონების სასურველ დაცვის უზრუნველყოფის უზრუნველყოფის შექმნა. ქონების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსით განისაზღვრება, რომლის მიხედვითაც ფიზიკურ პირთა და სანარმოთა ქონების გადასახადები იმიჯნება.

თავის მხრივ, ფიზიკური პირის ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი ორ ნაწილად იყოფა — საქართველოს ურბანულ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება (შენობა ნაგებობები ან მათი ნაწილი) და არაურბანულ ტერიტორიაზე არსებული ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონება (შენობა ნაგებობები ან მათი ნაწილი). არაურბანულ ტერიტორიაზე არსებული არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება

6. მიწის გადასახადი

ქონების განსაზღვრისას მასში უნდა შედიოდეს უძრავი ქონება და მიწა. ქონების ღირებულება არა საინვენტარიზაციო, არამედ საბაზრო ღირებულებით განისაზღვრება. განაკვეთების შვალის მიხედვით ქონების გადასახადის საბოლოო სახე, ჩვენი აზრით, მოცემული ცხრილის №12 მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს.

ქონების შეფასების კრედიტივები რამდენიმე სახისაა და მათი როგორც ცალ-ცალკე ძონების ღირებულება არა სინვენტარიზაციო, არამედ საბაზრო ღირებულებით განისაზღვრება.

(ცხრილი №5.2)

ქონების ღირებულება	საპროცენტო განაკვეთი
10 ათას ლარამდე	0.1 %
10 ათასიდან 30 ათასამდე	0.3 %
30 ათასიდან 50 ათასამდე	0.5 %
50 ათასიდან 100 ათასამდე	0.8 %
100 ათასი და მეტი	1.0 %

ესე თანმიმდევრობით გამოყენებაც შესაძლებელია. მათ შორის, აღსანიშნავია შემდეგი კრედიტივები: 1. ყიდვა-გაყიდვის ბოლო ოპერაცია; 2. მიმდინარე საბაზრო ფასი, სხვა ანალოგიებთან შედარების საფუძველზე; 3. დამოუკიდებელი შეფასებლების მიერ განსაზღვრული ფასი.

ამასთან, საყურადღებოა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ ქონებრივი დეკლარაციების შევსების აუცილებლობისა და შესაბამისი ადმინისტრირების სისტემის ჩამოყალიბების საკითხები. ეს ყოველივე კი ქონების გადასახადით მიღებული შემოსავლების ზრდისა და სოციალური სამართლიანობის დაცვის ხელ შეწყობი ფაქტორებია.

სახელმწიფოს მიერ მიწის გადასახადის დაწესების მიზნებიდან ძირითადია შემდეგი:

- ფისკალური ეფექტი;
 - მიწის რაციონალური გამოყენება.
- ორივე აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვის. მცირე მიწიანობის გამო აუცილებელია მიწის მართვის პოლიტიკა უშუალოდ საგადასახდო პოლიტიკაში აისახებოდეს.

გამომდინარე იქიდან, რომ მიწის გადასახადიდან მიღებული შემოსავლების 100% უკლებლივ ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტებში, მისი ფისკალური მნიშვნელობაც საკმაოდ მაღალია.

ამდენად, საგადასახადო პოლიტიკაში მიწის გადასახადის დადგენის წესზე, განაკვეთებზე და ადმინისტრირების მექანიზმებზე ბევრია დამოკიდებული.

მიწის გადასახადი საგადასახადო კოდექსით განისაზღვრება და მისი ფუნქციონალური დატვირთვის მიხედვით იზიჯნება:

- ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების;
- ბ) არასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ე.წ. „ურბანული“) მიწები.

მათი გადასახადით დაბეგვრის პრინციპები საერთოა:

- 1. გადასახადის განსაზღვრის საფუძველი

სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის განაკვეთის დადგენის მექანიზმი გაცილებით უფრო ცენტრალიზებულია, ვიდრე ურბანული მიწებისა.

მიწის ფართობის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ამდენად, ქონების გადასახადზე დაკავშირებით მიზანშეწონილია:

- ფიზიკური პირებისთვის ქონების გადასახადი მოსაშვლო №5.1 სტრიქონის მიხედვით ჩამოყალიბდეს;
- საჭიროა ფიზიკური პირებისთვის ქონების პირთა მიხედვით დაგაპროექტოს ანუ არ გამოიყენოს ურბანული და არაურბანული ტერიტორიებზე არსებული ქონება;
- ქონებაზე უნდა იკისრებოდეს უფრო მაღალი და დაბალი დასახადების განსაზღვრა ურბანული და არაურბანული ტერიტორიების მიხედვით;
- ქონებრივი დეკლარაციების შევსება, ისევე როგორც საგადასახადო დეკლარაციებისა, ყველა მრეწველობისთვის სავალდებულო უნდა გახდეს. რას საგადასახადო სისტემის სრულყოფილად ადმინისტრირებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის სოციალური სამართლიანობის დასაცემად დასაბუთებული პირობები დასაბუთებული პირობები.

2. მიწის გადასახადის ოდენობა არ არის დამოკიდებული მის გადასახდელთა ეკონომიკური საქმიანობის შედეგებზე და დგინდება ფიქსირებული ნორმული გადასახადის სახით, მიწის ფართობის ერთეულზე;

სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების დაკავებული მიწებისათვის:

(ცხრილი №6.1)

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	საბაზისო განაკვეთი, ჰა/ლარი		
	მიწის ხარისხი		
	კარგი	მწირი	საშუალო რაიონული (საქალაქო)
1. თბილისი, მარნეული	57	31	47
2. ბოლნისი, გარდაბანი	52	27	43
3. რუსთავი	51	27	43
4. ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, სოხუმი	51	27	43
5. ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	44	24	36,5
6. თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	43	22	35
7. ყვარელი, გორი, მცხეთა, ახმეტა, დმანისი, ერედვი	39	21	30
8. კასპი, თეთრიწყარო, სამტრედია	38	20	27
9. საგარეჯო, ქარელი, ხაშური	36	20	26
10. ქუთაისი, წალკა	34	19	26
11. აბაშა, ზუგდიდი	34	18	25
12. ახალქალაქი, ახალციხე	34	19	22
13. მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	33	17	23,5
14. ნინოწმინდა	33	17	19
15. ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი ოზურგეთი	30	15	20,5
16. ბაღდადი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	28	15	20,5
17. წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	24	13	17
18. საჩხერე, ცაგერო, ცხინვალი	22	12	16
19. ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	18	11	13
20. ასპინძა, ტყიბული, ხულო, ქედა	17	9	12
21. შუაჩხვი, ხარაგაული, ჭიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, ყაზბეგი, ჯავა	13	8	9

ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის

(ცხრილი №6.2)

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	საბაზისო განაკვეთი ჰა/ლარი			
	სათიბი	საძოვრები	გაკულტურებული	
			სათიბი	საძოვრები
1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულრიფში, გურჯაანი, დედოფლისწყარო, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრიწყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი	6	3	8	4
2. ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდადი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყიბული, ქარელი, ქედა, შუაჩხვი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო ახალციხე	4	2	7	3
3. ამბროლაური, ახმეტა, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერო, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	2,5	1,5	4	2

3. მიწის გადასახადი დიფერენცირებულია მიწის ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

ზემოჩამოთვლილი ერთიანი პრინციპების მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო და ურბანული მიწების გამოყენების ძირითადი კრიტერიუმები მისი სოფლის მეურნეობაში გამოყენება. სასოფლო-სამეურნეო მიწის სტატუსი განაჩნია: სახვანა და მრავალწლიანი ნარგავებით დააკვეთულ მიწებს, საბინაშა და საძოვრებს, წყლისა ტყის ფონდის მიწებს, საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და საგარაკო მიწის ნაკვეთებს, ადმინისტრაციულ ცენტრებში არსებულ დასახლებულ მიწებს, რომლებიც

მიწის გადასახადი საბრთველოში დაბალით, რომელიც პრიორიტეტული ღირებულების სტიმული-რეგის პარკების ფუნქციას იძენს, რაც, ჩვენი აზრით, არამიზანდონილია.

სოფლის მეურნეობაში გამოიყენება. მეორე დამახასიათებელი თვისება ის, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის განაკვეთის დადგენის მექანიზმი გაცილებით უფრო ცენტრალიზებულია ვიდრე ურბანული მიწებისა. აღნიშნული სახის მიწის გადასახადი დიფერენცირებულია ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით და დგინდება ერთ პექტარზე განაგრძობის ჩამონათვალი და განაკვეთები ხარისხობრივი დიფერენციაციის მიხედვით (კარგი, მწირი, საშუალო რაიონული) მოცემულია გადასახადო კოდექსში.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები მიწის ნაკვეთის გადასახადის განაკვეთს ზემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით განსაზღვრავენ. აღნიშნულ ორგანოს კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მისი ხარისხისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გადასახადის გადგენის ან 20 პროცენტამდე შემცირების უფლება აქვს გარდა ამისა, თუ მიწის ნაკვეთი დასახლებულ პუნქტებში მდებარეობს განაკვეთი 20%-ით იზრდება.

პარკებისა და ურბანული მიწის გადასახადი, რომელიც დიფერენცირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ.

გაცილებით უფრო მეტი თავისუფლება აქვთ მიწის მფლობელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ურბანული მიწების გადასახადის განაკვეთის განსაზღვრისას. საგადასახადო კოდექსით განისაზღვრება მხოლოდ საბაზისო განაკვეთი, რომელიც ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარს შეადგენს, ხოლო საბოლოო გადასახადი მიწის წლიური საბაზისო განაკვეთის ტერიტორიულ კოეფიციენტსა და მიწის ფართობზე გამრავლებით გამოიანგარიშება. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა

ტერიტორიულ კოეფიციენტს ენიჭება, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ადგილმდებარეობისა და ზონების მიხედვით განსაზღვრავს. მაგალითად, ქ. თბილისის ადმინისტრაციული ტერიტორია იყოფა 3 ზონად: ცენტრალური (I ზონა), რომელიც 16 ქვეზონას მოიცავს; შუალედური (II ზონა) — 19 ქვეზონას მოიცავს; პერიფერიული (III ზონა) — მოიცავს 18 ქვეზონას. კოეფიციენტები ქვეზონების მიხედვით განისაზღვრება. ქ. თბილისის მისულ 57 ქვეზონა და კოეფიციენტები, ქვეზონის ადგილმდებარეობის მიხედვით, 1,5-დან 0,5-მდე მერყეობს. ამდენად, ურბანული მიწების გადასახადის განაკვეთის მოცულობა მთლიანად და-მოკიდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოზე, რაც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დამატებითი უფლებამოსილების

მინიჭების საშუალებაა. მიწის გადასახადის განაკვეთის მოცულობის განსაზღვრა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. დღეს არსებული მდგომარეობით, საგადასახადო კოდექსის მიხედვით მიწის გადასახადი არ განეკუთვნება ადგილობრივ გადასახადებს. თუმცა ყველა გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ეს გადასახადი ადგილობრივი დატვირთვის მატარებელია, რითაც მისი მნიშვნელობა არ მცირდება, კერძოდ:

- ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით, ურბანულ მიწებზე ტერიტორიული კოეფიციენტების განსაზღვრით ტერიტორიულ ორგანოს საბაზისო განაკვეთზე თავისუფალი

უფრო მეტი უნდა მოხდეს მიწის გადასახადის პარკებისა და ურბანული მიწის გადასახადის განაკვეთის განსაზღვრისას.

ზემოქმედების საშუალება აქვს; • მიწის გადასახადით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები ადგილობრივ ბიუჯეტში სრული მოცულობით ჩაირიცხება. ამრიგად, რომ არა ცენტრალური ხელისუფლების სურვილი შეინარჩუნოს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ბერკეტები, მიწის გადასახადის ადგილობრივი გადასახადის სტატუსით განიღვა შესაძლებელი იქნებოდა. გამოდის რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხები მრტად აქტუალურია, რასაც ხელს უწყობს ერთი მხრივ, თვითმმართველობის ჩამოყალიბება, მეორეს მხრივ, კი სამხარეო დაყოფის აქტუალიზაცია. აღნიშნულის შესაბამისად, უფლებამოსილების

ზრდა ეკონომიკური პოლიტიკის დეცენტრალიზაციისა და ეკონომიკური აქტივობის ცენტრიდან რეგიონის კენჩანაცვლებას გამოიწვევს.

ამრიგად, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის განაკვეთის დადგენის დეცენტრალიზაციაც. არსებული საგადასახადო რევიმით ადგილობრივი თვითმმართველობას შესაძლებელია 20%-იანი საზღვრებში ცილილების შესაძლებლობა ეძლევა; ამ ფაქტის მიუხედავად, განაკვეთის დადგენის ცენტრალიზებული მექანიზმი მაინც მკაცრი და არაეფექტურია. ამასთან, ეს მექანიზმი ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელ ფუნქციის ერთი მხრივ, 20%-იანი ზღვარში (გაზარდოს ან შეამციროს გადასახადი საბაზისო განაკვეთთან მიმართებაში) მანიპულირების მოხდენის და, მეორეს მხრივ, მიწის ხარისხის სტატუსობრივი მდგომარეობის დადგენის და ამ მეთოდით გადასახადის საბოლოო მოცულობაზე მოქმედების საშუალება აძლევს. ორივე შემთხვევაში კორუფციის დონის ზრდისთვის ხელსაყრელი პირობები იქმნება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადსაც ადგილობრივი გადასახადის სტატუსი მიეცეს და განაკვეთი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განისაზღვროს.

ხშირია იმაზე საუბარი, რომ აუცილებელია

მიწის რეფორმის განხორციელების შემდეგ დღის წესრიგში მიწის და ქონების გადასახადის გააერთიანების საკითხი დგება.

სასოფლო-სამეურნეო და ურბანული მიწის გამოყენება, როგორც სტატუსის მიხედვით, ასევე გადასახადის განაკვეთებით. ამის ძირითადი არგუმენტია ის, რომ გადასახადის განაკვეთი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ინსტრუმენტად გადაიქცეს. დღევანდელი მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო მიწის მაქსიმალური გადასახადი (თბილისის და მარნეულის ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებს გარეთ არსებული სახეები და მრავალწლიანი ნარგავებით დაკვეთული მიწებისათვის) ერთ ჰა-ზე 57 ლარს შეადგენს. ასეთი საფარგულის ადმინისტრაციულ ცენტრში (ამ შემთხვევაში თბილისში და მარნეულში) არსებობის შემთხვევაში გადასახადი 20 %-ით გაიზრდება, ანუ 1 ჰა-ზე — 71,25 ლარი იქნება. მაშინ, როცა ურბანული მიწა თბილისში, ყველაზე ბოლო, 59 ქვეზონაში 1200 ლარს შეადგენს (0,24 ლარი კვ.მ. საბაზისო განაკვეთი X 10 000 კვ.მ. — მიწის ფართობი 0,5 — ტერიტორიული კოეფიციენტი) ანუ ურბანული მიწის გადასახადი 16,8-ჯერ აღემატება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადს.

ასეთი დიდი განსხვავება საქართველოში სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად არსებობამ განაპირობა. ამდენად, შექმნილი გარემოებების გამო, მიწის გადასახადი საქართველოში დამატებით (გარდა ფისკალურისა და მიწის რაციონალური გამოყენებისა), რომელიც პრიორიტეტული დარგის სტიმულირების ბერკეტის ფუნქციას იძენს, რაც, ჩვენი აზრით, არამიზანშეწონილია.

შერეული შემთხვევაში უნდა მოხდეს მიწის გადასახადის უნიფიცირება ანუ ჩამოყალიბდეს ერთიანი მიწის გადასახადი, რომელიც დიფერენცირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ტერიტორიული კოეფიციენტების მიყენებით. საგადასახადო კოდექსში შესაძლებელია განისაზღვროს დადგენის და ადმინისტრირების მექანიზმები და საბაზისო განაკვეთი, მაგრამ ეს უქანს ენელი კარგავს თავის აზრს, თუ არ იქნა ჩამოყალიბებული კოეფიციენტების მაქსიმალური და მინიმალური ზღვრები. ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ძირითადი პრინციპი — მიწის რაციონალური გამოყენებაა, რაც გულისხმობს:

- ადგილობრივი ბიუჯეტისთვის შემოსავლების მაქსიმიზაცია;
- არ შეიქმნას რომელიმე დარგისთვის (ამ შემთხვევაში — სოფლის მეურნეობისათვის) ხელშეწყობის სასათბურე გარემო და მისი მოგების ნორმა მიუახლოვდეს სხვა დარგების მოგების ნორმას. აქ უნდა გათვალისწინონ ისიც, რომ სხვა დარგები დამატებით გადასახადებსაც იხდარს;

საკუთრების ფორმის ცვლა (სახელმწიფო და კერძოსკენ) უნდა გამოიხატოს საქმიანობის თავისუფლებაში ანუ მიწის სტატუსი არ უნდა

იყოს პრიორიტეტული; • სახელმწიფო ჩინოვნიკის მიერ საკუთარი ძალისხმევით გამოყენებისა და მიწის სტატუსის შესაბამისად, გადასახადის მოცულობის დადგენის პროცესში ჩარევის მაქსიმალურად შეზღუდვა. ეს შესაბამისად კორუფციის ელემენტებსაც გამოირიცხავს.

გასული 1998 წლის საგადასახადო შემოსავლების მიხედვით მიწის გადასახადი მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 6%-ს შეადგენს. აბსოლუტურ მაჩვენებლებში მიწის გადასახადიდან მიღებული შემოსავლები 20 658.5 ათ ლარია, რაც დაბეგმილი 22 863.3 ათ ლარის 90.4 %-ია.

მიწის გადასახადის შემოსავლების მდგომარეობის რეგიონულ დარაობულ მართლში განხილვით, საკმაოდ საინტერესო სურათი იქმნება. აღსანიშნავია, რომ შემოსავლების გამოყენება საგადასახადო სამსახურის მიერ სასოფლო და არსასოფლო მიწის მიხედვით (როგორც ეს საგადასახადო კოდექსშია მოცემული) არ ხდება. ამდენად, პროგნოზირებადი

გეგმის შეუსრულებლობის მიზეზის დადგენა რეგისტრაციის, ან თუ არა კონტრინფორმაციის დადგენა ან თუ რაიონში ამ გადასახადის სახით მიხალები შემოსავლები.

რეგისტრაციის მიხედვით გეგმა გადაჭარბებით შესარულა აჭარის ა/რ-ში, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში. გასათვალისწინებელია ის საგემოება, რომ მაღალი შემოსავლებით გამოირჩევა ქალაქების ანუ ურბანული მიწების დაბეგრებიდან მიღებული შემოსავლები. მაგალითისთვის, ქ. ფთოში გეგმა 1730.5%-ით შესრულდა ანუ დაგეგმილი 44.9 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტურაზე შესრულდა 777 ათასი ლარი შეადგინა. მინის გადასახადის არსიდან გამომდინარე, ასეთი განსხვავება დაგეგმილსა და რეალურ შემოსავლებს შორის არ უნდა არსებობდეს.

მიმდინარე ეტაპზე დღის წესრიგში დგას მინის რეფორმის დაჩქარებული ტემპით განხორციელება, რაც მინის საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატების გაცემას გულისხმობს. საქართველოსა და აშშ-ს ხელისუფლების შეთანხმების საფუძველზე სერტიფიკატების გაცემა აშშ განვითარების სააგენტოს დახმარებით განხორციელდება. ამ პროცესის დამთავრება გეგმის მიხედვით 2001 წლის ივნისისათვისაა გაშიზნული. პროგრამის ძირითადი მიზანი საქართველოში მინის ბაზრის ფორმირების დაჩქარებაა. 1998 წელს მთელ რიგ რეგიონებში მინის გადასახადის სახით დაგეგმილი შემოსავლები ბიუჯეტში მოხილვისთვის ვერ განხორციელდა, რაც სოფლის მეურნეობაში არსებულმა პრობლემებმა, განსაკუთრებით გვაღვივებელი გამოწვევებმა ჩავარდნებმა გამოიწვია. წინა წლებში (იგულისხმება 1995-97წწ) სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა, რაც, ძირითადად, სტაგნაციის შეჩერებამ გამოიწვია და არა ამ სფეროში ახალი ინვესტიციების მოხილვისთვის. დღეს უკვე აშკარად გამოჩნდა, რომ დამატებითი ინვესტიციების გარეშე სოფლის მეურნეობის განვითარება გამოირჩეულია. წმორედ ამას უნდა შეუწყოს ხელი მინის ბაზრის ფორმირებამ, რისი საშუალებით მინის რაციონალური გამოყენების დამატებითი შესაძლებლობა იქმნება.

მინის გადასახადის ამოღება მოსახლეობის სოფლის მეურნეობიდან შემოსავლებზე დამოკიდებული არ უნდა იყოს, ხოლო გადასახადის არ გადახდის შემთხვევაში მისი ამოსაღებად, სახელმწიფომ ყველა საშუალება

უნდა გამოიყენოს. პროგრამის სახით ჩამოყალიბებული მინის რეფორმა არ ითვალისწინებს მინის ხარისხის (საგადასახადო კოდექსის მიხედვით: ვარგო, საშუალო, მწირი) მიხედვით დიფერენცირებას. ამ შემთხვევაში არსებით მნიშვნელობას იძენს მინის რეალური ღირებულება, რაც დამოკიდებული იქნება როგორც მის ხარისხზე, ასევე მის ადგილზე ბარებობაზე და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებზე. ამას ემატება ისიც, რომ მინის საფასურს, ხშირ შემთხვევაში, ამ მინაზე არსებული უძრავი ქონების გადასახადის დაბეგრავც ემატება, რაც საგადასახადო კოდექსითაა განსაზღვრული. ეს ფაქტორი გვაიძულებს ერთი პირის საკუთრებაში არსებულ ქონებას გავყოთ ორ ნაწილად: ერთი მხრივ მინა, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობა და, მეორე მხრივ, თვითონ ეს შენობა-ნაგებობა. თავისთავად ეს ორი ობიექტი ცალ-ცალკე არავითარ ღირებულებას არ ქმნის, მათ ერთიანი ღირებულება გააჩნიადა, შესაბამისად, დაბეგრვის კუთხით მიდგომაც ერთიანი უნდა იყოს.

აღიწივ. მინის რეფორმის განხორციელების შემდეგ დღის წესრიგში მინის და მინის გადასახადის გააერთიანების საკითხი დგას.

7. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეთა გადასახადი ბაზისა ხაზად

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეთა გადასახადის გადახდები არიან ის პირები, რომლებიც ფლობენ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. აღნიშნული გადასახადის გადახდა ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის, ხელმოკრე რეგისტრაციის ან ყოველთვიური ტექნიკური დათვალიერების დროს ხდება. გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია და ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობაზე და ძრავის

(ცხრილი №7.1

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობანი	გადასახადის ოდენობა ლარ.
მსუბუქი ავტომობილები	0.25
ავტობუსები (12-მდე ადგილით)	1.0
ავტობუსები (13-30 ადგილით)	1.3
ავტობუსები (30-ზე მეტი ადგილით)	2.0
სატვირთო ავტომობილები ტვირთაწვერებით 1 ტ (ნათვილი)	0.4
სატვირთო ავტომობილები ტვირთაწვერებით 1-3 ტ (ნათვილი)	0.6
სატვირთო ავტომობილები ტვირთაწვერებით 3-10 ტ (ნათვილი)	1.3
სატვირთო ავტომობილები ტვირთაწვერებით 10-20 ტ (ნათვილი)	2.0
სატვირთო ავტომობილები ტვირთაწვერებით 20-40 ტ (ნათვილი)	2.6
სატვირთო ავტომობილები 40 ტ-ზე მეტი ტვირთაწვერებით	4.0

სიმძლავრეზეა დამოკიდებული. განაკვეთები შემდეგია (იხ. ცხრილი №7.1):

საგადასახადო კოდექსის თანახმად დანესებულია გარკვეული სახის შეღავათები. გადასახადისაგან თავისუფლებიან: ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა ექსპლუატაცია არ ხდება და მოცემულ წელს ტექნიკურ დათვალიერებას არ ექვემდებარებიან; ბ) ხელით სამართავი ავტომობილები და მოტოციკლები (თითო მესაკუთრეზე — არა უმეტეს თითო ავტომობილს ან მოტოციკლისა); გ) მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებათა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საბრძოლო მოქმედებათა შედეგად დაინგულირებული და მათთან გათანაბრებულ პირთა საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეთა გადასახადის ხაზით სერიოზული რეზერვები არსებობს. კერძოდ, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეთა გადასახადიდან შესაძლებელია გაცილებით მეტი შემოსავლების მიღება. საქართველოს საგზაო პოლიციის მონაცემების თანახმად 1997 წელს ქვეყანაში საავტომობილო პარკი შემდეგი სტრუქტურით ხასიათდებოდა:

- მსუბუქი ავტომობილი — 265 646 ცალი;
- ავტობუსი — 11 990;
- მიკროავტობუსი — 2 689;
- სატვირთო ავტომობილი — 66 898;

თუკი, ზემოთ მოყვანილ ცხრილს აღნიშნულ მონაცემებს შევუფარდებთ, აღმოჩნდება, რომ ყოველწლიურად მოცემული გადასახადიდან საგზაო ფონდი დაახლოებით 62 მლნ ლარს უნდა ლეუბლობდეს, ხოლო 1998 წელს საგზაო ფონდის შემოსავალმა შეადგინა მხოლოდ 33.6 მლნ ლარი, საიდანაც 15 მლნ ლარი საავტომობილო ბენზინის აქციზით დაბეგრვიდან იქნა მიღებული. ეს ციფრები აღნიშნული სფეროს დიდ რეზერვებზე მიგვიჩვენებს.

8. გადასახადი ქონების გადაცემისათვის

საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადში ქონების გადაცემისათვის გაერთიანებულია სამი ტიპის გადასახადი, ესენია: გადასახადი უძრავი ქონების გადაცემისათვის, გადასახადი მექანიკური სატვირთო საშუალებათა გადაცემისათვის.

უძრავი ქონების გადაცემისათვის

გადასახადს იხდის აღნიშნული ქონების მიმღები. დაბეგრვის ობიექტია საქართველოში არსებული უძრავი ქონება, რომელზედაც ხდება საკუთრების უფლების გადაცემა და რომელიც გადაიცემა იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულებით. გადასახადის განაკვეთია დასაბეგრი თანხის 2%. მთლიანობაში აღნიშნული გადასახადის კანონმდებლობის დონეზე აღმინისტრაციული მოწყობის ნორმალურია, ამასთან აღმინისტრაციის დონეზე არსებობს სერიოზული სირთულეები. კერძოდ, უმეტეს შემთხვევებში გადასაცემი ქონების რეალური საბაზრო ღირებულება შემცირებულია, რაც ხელშეკრულების მონაწილეთა ინტერესიცაა. ამიტომაც, ძირითადი პრობლემა ქონების რეალური შეფასება და ხელშეკრულებაში სათანადოდ ასახვაა. ამ კუთხით, ქვეყანაში საჭიროა დამოუკიდებელ შემფასებელთა ინსტიტუტის დამკვიდრება. ამ აღმინისტრაციული პრობლემის მოგვარებით აღნიშნული გადასახადიდან მოსალოდნელია სერიოზული შემოსავლების მიღება. პრობლემის გადაწყვეტის დროებით საშუალებად შეიძლება დასახედდეს თითოეულ გარეგნულზე ფიქსირებული განაკვეთის დაწესება (ლარებში).

გადასახადის მექანიკური საშუალებისა და ჩუქებისათვის გადახდებულ არიან ფიზიკური პირები, რომლებმაც მექანიკური საშუალებით მიიღეს ნებისმიერი ქონება. საგადასახადო შეღავათების თანახმად 50 000 ლარის ღირებულების ქონების მექანიკური საშუალებისათვის

აღიწივ. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეთა გადასახადთან დაკავშირებით მიკავანში, რიგ:

- ყოველწლიურად ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრეთა გადასახადიდან საგზაო ფონდი დაახლოებით 62 მილიონ ლარს უნდა იღავდეს. 1998 წელს საგზაო ფონდის შემოსავალმა კი მხოლოდ 33.6 მლნ ლარი შეადგინა. სიონიდან 15 მლნ ლარი საავტომობილო ბენზინის აქციზით დაბეგრვიდან იქნა მიღებული. ეს ციფრები აღნიშნული სფეროს დიდ რეზერვებზე მიგვიჩვენებს.

მიღებისას პირი გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებულია. მოცემული ზღვრული ოდენობა ძალზედ მაღალია. თანაც, გარდაცვლილი პირისაგან პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეების მიერ მიღებული ქონება ასევე განთავისუფლებულია გადასახადისაგან. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მოცემული გადასახადი ფისკალური კუთხით კარგავს თავის მნიშვნელობას. ამიტომ უმჯობესი იქნება ტუ ზღვრული ოდენობა 10 000 ლარამდე შემცირდება.

გადასახადის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გადაცემისთვის გადახდებელი არიან ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემისას ქონების მიმღები. ამ მხრივ ადმინისტრაციული და სამართლებრივი მოწყობა საკმაოდ ნორმალურია.

აფხაზად, შონაგის გადასახადის გადასახადთან მიმართებაში მიგვაჩვენა, რომ:
